

სამოტივაციო წერილი

სახელი, გვარი: ხათუნა ლაგაზიძე

ვაკანსია: „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორი

ორგანიზაცია: საზოგადოებრივი მაუწყებელი

გავეცანი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე. მიმაჩნია, რომ ჩემი განვლილი პროფესიული გზით, განათლებითა და კვალიფიკაციით სრულად შევესაბამები გამოცხადებული ვაკანსიის კრიტერიუმებს და შემომაქვს განცხადება აღნიშნულ ვაკანსიაზე.

მოგახსენებთ, რომ ჩემი გამოცდილება მოიცავს კონკურსის პირობებით მოთხოვნილი საქმიანობის ყველა სფეროს: მედიას, არასამთავრობო სექტორს და სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას, ისევე როგორც ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდებს. 1992 წლიდან, წლების განმავლობაში ვმუშაობდი სხვადასხვა გაზეთებში პოლიტიკის მიმომხილველად და ექსპერტად, მათ შორის, „კავკასიონი“, „ჯორჯიან თაიმსი“, „კვირის პალიტრა“; 2018-2019 წლებში ვიყავი რადიო „პალიტრის“ გადაცემის წამყვანი; არასამთავრობო სექტორში ჩემი საქმიანობა მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვან საქართველოში“ ფონდრაიზერად და სამართლის ექსპერტად მუშაობის გამოცდილებას, ხოლო 2014 წლიდან ვარ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ევროპული ღირებულებების ინსტიტუტის“ თანათავმჯდომარე; ვეწეოდი და ვეწევი სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მიმყავდა სახელმწიფო მართვის თეორიისა და სისტემების კურსი, გამოცემული მაქვს სახელმწიფო მართვის სფეროში პირველი ქართული სახელმძღვანელო; ვასწავლიდი ბადრი პატარკაციშვილის სახელობის მედია-სკოლაში საქართველოს უსაფრთხოების სისტემებისა და საგარეო პოლიტიკის კურსს; 2017 წლიდან ვასწავლი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურაში. მართვის კუთხით ჩემი გამოცდილება მოიცავს როგორც არასამთავრობო სექტორს, ასევე ბიზნესს - ვარ სამი წარმატებული ბიზნეს-კომპანიის დამფუძნებელი, რომლებიც საქმიანობენ ტურიზმის, ქართული კულტურის უცხოეთში პოპულარიზაციის და ღვინის სფეროებში. აღსანიშნავია, რომ ჩემი კომპანია ერთ-ერთია იმ იშვიათთაგან, რომლებმაც პანდემიის დროს სრულად შეინარჩუნა თანამშრომლები და შეძლო გამართულად ფუნქციონირება.

ვარ თსუ სამართალმცოდნეობის მაგისტრი. დამთავრებული მაქვს აგრეთვე თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი და ასპირანტურა; შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი. ვარ საქართველოს ბულგატერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ სერტიფიცირებული

ბუღალტერი. 2001 წელს სტაჟირების ფარგლებში გავიარე გერმანიაში, ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების კვლევის ევროპულ ცენტრში სტრატეგიული მენეჯმენტისა და საერთაშორისო უსაფრთხოების კურსი; 2014 წელს კი, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში - ტრენინგები უკანონო მიგრაციის, კრიმინალთან ბრძოლის და ტერორიზმის საკითხებზე. ამჟამად გახლავართ თსუ ისტორიის ფაკულტეტის დოქტორანტი. ჩემი კვლევის საგანია საინფორმაციო ომების ტრანსფორმაცია და სპეციფიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

მედიის მუშაობის სპეციფიკას ვიცნობ სიღრმისეულად, როგორც შიგნიდან - კორესპონდენტის თუ პოლიტიკის მიმოხილველის პოზიციიდან, ასევე - გარედან - რესპონდენტის როლში. მედიაში საქმიანობის, მათ შორის, გარკვეული პერიოდი - კორესპონდენტად და იმავდროულად, მედიასთან - რესპონდენტის რანგში - 25 წლიანი გამოცდილება ჩემთვის ახლობელს და გასაგებს ხდის კვალიფიციური რესპონდენტისა და ჟურნალისტის ურთიერთთანამშრომლობის როლს და პროფესიონალიზმის მნიშვნელობას ხარისხიანი მედია-პროდუქციის წარმოებაში. ამიტომაც ზუსტად ვხედავ სად დევს ხარისხიანი, მაყურებელზე ორიენტირებული ტელეპროდუქციის წარმოების გასაღები. საგანმანათლებლო სფეროში დიდი ხნის მოღვაწეობა ჩემთვის განსაკუთრებით თვალსაჩინოს ქმნის იმ პრიორიტეტებს, რომლებიც დაჩქარებული ტექნოლოგიური ზრდის და ინოვაციების ეპოქაში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა დაისახოს მიზნად, იმისათვის რომ ქართული განათლების სისტემა პასუხობდეს თანამედროვეობის გამოწვევებს და საქართველოს მოქალაქე იდგეს თანამედროვე ტექნოლოგიური ცოდნის ფარვატერში; სამოქალაქო სექტორში დაგროვილი, პროექტებზე მუშაობის და მართვის გამოცდილება, დამეხმარება სწორი პროგრამული პრიორიტეტებისა და პროექტების სწორად შერჩევა-მხარდაჭერაში; წარმატებული ბიზნეს-გამოცდილება, მათ შორის, კადრების მართვასა და კრიზის-მენეჯმენტში, იქნება მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ისეთი პასუხისმგებლობის თავზე ასაღებად, როგორიც საზოგადოებრივი მაუწყებლის დიდი, შემოქმედებითი, პროფესიონალთა გუნდის მართვაა, რაშიც ასევე დამეხმარება ჩემი როგორც, სერტიფიცირებული ქოუჩის ცოდნა და გამოცდილება. წლების მანძილზე ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის შეძენილი ცოდნა და გამოცდილება საშუალებას მომცემს სწორად ვმართო მაუწყებლის ბიუჯეტი და მაქსიმალურად ეფექტიანად გამოვიყენო მაუწყებლის ფინანსები, ერთის მხრივ, ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შესაქმენლად და მეორეს მხრივ, შემოქმედებითი კოლექტივის, გუნდის პროფესიული და სოციალური დაცულობის გარანტიებისთვის; და რაც მთავარია, ჩემი საქმიანობა წლების მანძილზე უსაფრთხოების და პოლიტიკის ექსპერტის რანგში მომცემს საშუალებას, ისე როგორც არავინ დავინახო და შევაფასო დღეს საქართველოს საინფორმაციო სივრცის წინაშე მდგარი გამოწვევები, ქვეყნის საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მნიშვნელოვანი როლი, მისი ფუნქცია დეზინფორმაციასთან ბრძოლის საქმეში, საზოგადოების დახლეჩვის და დაპირისპირების მცდელობების საპირისპიროდ ერთიანი სახელმწიფოებრივი ერის ფორმირების ხელშემწყობი ღონისძიებების

გატარებაში. ეს ყველაფერი დღეს სახელმწიფო უსაფრთხოების პირველი რიგის ამოცანებია, რომლის განხორციელებაში საზოგადოებრივ მაუწყებელს საკვანძო როლის შესრულება შეუძლია და ჩემი გამოცდილება, მათ შორის, საინფორმაციო უსაფრთხოების კუთხით, განსაკუთრებული შესაძლებლობაა ამ პრიორიტეტების დასასახად.

იმედი მაქვს, გასაუბრების დროს საშუალება მომეცემა გესაუბროთ ჩემს ხედვებზე თანამედროვე, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ერაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზნების, პრიორიტეტების და განვითარების სტრატეგიის თაობაზე.

პატივისცემით, ხათუნა ლაგაზიძე

11.09.2020

მიზანი: საინფორმაციო სივრცის დაცულობა და კონტრაქცია - საინფორმაციო უსაფრთხოებაში როლი; დეზინფორმაციასთან ბრძლის მთავარი ფორპოსტი;

მოქალაქის აღზრდა+ პატრიოტის

ახლეჩილი საზოგადოების გაერთიანება და ერთდ ფორმირება - უზენაესი მიზანი

ყველა ეს ქვეყნის უსაფრთხოების უმთავრესი საკიტხებია

მთავარ მისიას დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება, საზოგადოებრივი განათლების დონის ამაღლება, მრავალფეროვნებისა და სოციალური ინტეგრაციის ღირებულების დამკვიდრების ხელშეწყობა, ასევე საზოგადოებისთვის კულტურული ფასეულობების მიწოდება წარმოადგენს

მაუწყებელმა სათანადო ბალანსი

უნდა დაიცვას პროდუქციის შემდეგ სამ კატეგორიას შორის:

ა. ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები - ამ პროდუქციას დღესდღეობით

ყველაზე მაღალი წილი უკავია მაუწყებლის ბიუჯეტში;

ბ. კულტურა, შემეცნება, განათლება, ისტორია და ჯანსაღი ცხოვრების წესი - ამ

ტიპის პროდუქციის შეთავაზება მაუწყებლის მიერ დღესდღეობით არ

შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს როგორც პროდუქციის რაოდენობით,

ასევე მისი მრავალფეროვნებით;

გ. ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის განკუთვნილი პროდუქცია - ყველაზე

გრძელვადიანი ინვესტიციაა საზოგადოების განვითარებაში. მაუწყებელმა ამ

ტიპის პროდუქციის წარმოება არა მარტო უნდა ზარდოს, არამედ

ამავდროულად იზრუნოს მაუწყებლის შიგნით შესაბამისი კომპეტენციების

შექმნა-განვითარებაზე